იურიდიული დახმარების სამსახური

მის: რუსთაველის №30, 0146
თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 /32/ 292-00-55
ელ-ფოსტა: council@legalaid.ge
ვებ-გვერდი: www.legalaid.ge

იურიდიული დახმარების საბჭო

№ 19

"3" აპრილი 2015 წ.

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოების საქმეებზე ანგარიშგების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ

„იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**

1. დამტკიცდეს მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში (შემდგომში - რეესტრი) რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა (შემდგომში - ადვოკატი) სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოების საქმეებზე ანგარიშგების წესი (დანართი №1).
2. დამტკიცდეს რეესტრის ადვოკატთა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოების საქმეებზე ანგარიშგების ფორმა (დანართი №2).
3. ეს გადაწყვეტილება გავრცელდეს რეესტრის ადვოკატთა მიერ წარმოებაში მიღებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეებზე.
4. გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2015 წლის 15 აპრილიდან.
5. გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა განხორციელდეს იურიდიული დახმარების საბჭოს გადაწყვეტილებით.

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე **ელზა ლეშკაშელი**

საბჭოს წევრები

ეკატერინე ფოფხაძე

ნათია ჩირიკაშვილი

ილია ჭანტურაია

ბონდო ალასანია

ვალერი კვანტალიანი

კახაბერ სოფრომაძე